

## ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

### 1. ბიბლიოთეკის სამუშაო დღეებია:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9:00სთ-დან 18:00სთ-მდე . ბიბლიოთეკა არ მუშაობს საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ დასვენებისა და უქმე დღეებში;

### 2. აკადემიის ბიბლიოთეკის ფონდით (საგანმანათლებლო რესურსი: ბეჭდური და/ან ელექტრონული) სარგებლობის აუცილებელი წინაპირობაა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება.

### 3. ბიბლიოთეკაში გაწევრიანების პირობები:

3.1 ბიბლიოთეკაში გაწევრიანების უფლება აქვთ აკადემიის პროფესიულ სტუდენტს და პერსონალს;

3.2 ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა;

3.3 აკადემიის პროფესიული სტუდენტის გაწევრიანება ხდება სტუდენტობის პერიოდში ერთხელ და მოქმედებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტამდე;

3.4 აკადემიის პერსონალის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება მათ მიერ აკადემიის შესაბამის პოზიციებზე ყოფნის განმავლობაში;

3.5 აკადემიის პროფესიული სტუდენტის და პერსონალის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება დასტურდება მკითხველის ბარათით;

3.6 ბიბლიოთეკაში გაწევრიანების მსურველი პირი, ვალდებულია გაეცნოს და გაწევრიანების შემთხვევაში დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

3.7 მკითხველის ბარათში ფიქსირდება მკითხველის მიერ ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის ყოველი კონკრეტული შემთხვევა- წიგნის დასახელების, გატანისა და დაბრუნების დროის ჩათვლით. მკითხველი მკითხველის ბარათში წიგნის გატანის ფაქტს აფიქსირებს პირადი ხელმოწერით;

3.8 მკითხველი ვალდებულია შეატყობინოს ბიბლიოთეკარს მისი პირადი მონაცემების შეცვლის შესახებ;

3.9 საგანმანათლებლო რესურსი გაიცემა ბიბლიოთეკიდან;

3.10 საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი რესურსით მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ ბიბლიოთეკაში, ან ქსეროქსზე გადაიღოს;

3.11 მკითხველს შეუძლია ბიბლიოთეკიდან საგანმანათლებლო რესურსის გატანა მხოლოდ ბიბლიოთეკარის წინასწარი ნებართვის საფუძველზე;

- 3.12 ბიბლიოთეკიდან საგანმანათლებლო რესურსი გაიცემა არაუმეტეს ხუთი კალენდარული დღის ვადით;
- 3.13 ბიბლიოთეკიდან გატანილი საგანმანათლებლო რესურსი დაბრუნების ვადის დადგომისთანავე, მკითხველი ვალდებულია საგანმანათლებლო რესურსი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას. თუ დაბრუნების თარიღი ემთხვევა უქმე ან/და დასვენების დღეს, მკითხველმა რესურსი უნდა დააბრუნოს მომდევნო სამუშაო დღეს. თუ მკითხველს საგანმანათლებლო რესურსი კვლავაც სჭირდება, მას შეუძლია ის ხელახლა გაიტანოს ამ წესით დადგენილი ვადით, იმ შემთხვევაში, თუ ამ რესურსზე არ შემოსულა სხვა განაცხადი;
- 3.14 თუ მკითხველი ვერ ახერხებს საგანმანათლებლო რესურსის დროულად დაბრუნებას ობიექტური მიზეზის გამო, იგი ვალდებულია იმავე დღეს შეატყობინოს ამის შესახებ ბიბლიოთეკარს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება რომ მკითხველმა არასაკატიო მიზეზით დაარღვია ბიბლიოთეკის ფინდით სარგებლობის ვადები;
- 3.15 ბიბლიოთეკარს შეუძლია მოითხოვოს საგანმანათლებლო რესურსის ვადაზე ადრე დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია რესურსი დააბრუნოს შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში;
- 3.16 ბიბლიოთეკარი, რომელიც გასცემს საგანმანათლებლო რესურსს სამუშაოდ ან ხელზე წასაღებად, ან იბრუნებს რესურსს, ვალდებულია მკითხველთან ერთად შეამოწმოს მისი მდგომარეობა. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში ბიბლიოთეკარი ვალდებულია შეადგინოს აქტი;
- 3.17 მკითხველი ვალდებულია მიღების დროს დაათვალიეროს რესურსი, დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ბიბლიოთეკარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზიანებულ რესურსზე პასუხისმგებლობა ეკისრება მკითხველს;
- 3.18 ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი სასწავლო-საინფორმაციო დანიშნულებისაა. იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი არ ფლობს ტექნიკით სარგებლობის უნარ-ჩვევებს, ბიბლიოთეკარი ვალდებულია აღმოუჩინოს მკითხველს შესაბამისი დახმარება.

#### 4. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები:

- 4.1 მკითხველი პასუხისმგებელია პირად ქონებაზე. აღნიშნული ქონების უმეტესადაა დატოვების, ან დაკარგვის შემთხვევაში აკადემია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას;
- 4.2 პირადი ნივთის დაკარგვისას მკითხველმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბიბლიოთეკარს;
- 4.3 ბიბლიოთეკაში ქცევის წესების დარღვევას მოჰყვება მკითხველისათვის ბიბლიოთეკის წევრობის გაუქმება ან/და აკადემიაში დადგენილი პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება.

#### 5. ბიბლიოთეკაში აკრძალულია:

- 5.1 საგანმანათლებლო რესურსის/მასალის გამოყენების შემდეგ მისი თვითნებურად თაროზე დადება;

- 5.2 ხმაური და საუბარი, მობილური ტელეფონების გამოყენება, ნებისმიერი ისეთი აქტივობა, რომელიც შეაწუხებს სხვა მკითხველს და ბიბლიოთეკარს;
  - 5.3 ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებით არადანიშნულებისამებრ სარგებლობა (ასეთად ჩაითვლება სხვადასხვა გასართობი ვებგვერდებით სარგებლობა, ფილმების, მუსიკალური კომპოზიციების, თამაშების და სხვა მსგავსი აპლიკაციების ჩამოტვირთვა, კომპიუტერული ტექნიკის კონფიგურაციის შეცვლა და სხვ.);
  - 5.4 მუსიკალური ინსტრუმენტების, ვიდეოკამერების გამოყენება, ალკოჰოლური სასმელების, საკვები პროდუქტების შეტანა;
  - 5.5 საგანმანათლებლო რესურსის დაზიანება;
  - 5.6 გატანილი საგანმანათლებლო რესურსის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი იხდის ჯარიმას რესურსის საბაზრო ღირებულების ოდენობით, ან ანაცვლებს მას ახლით.
- 
6. ბიბლიოთეკარს უფლება აქვს არ გაატანოს საგანმანათლებლო რესურსი იმ პირებს, რომლებიც შემჩნეულნი არიან რესურსით დაგვიანებით დაბრუნებაში. შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო ინფორმაცია - ხელმისაწვდომი მკითხველისათვის.